სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

47110699668324

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N24743439

რეგისტრაციის თარიღი

14.06.2024 წ

ნოტარიუსი: თინათინ დევდარიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქუჩა N43/ლ.კავსაძის 9, ბინა 13
ტელეფონი: 229-35-11

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო თბილისი

ორიათას ოცდაოთხი წლის თოთხმეტ ივნისს მე, ნოტარიუს თინათინ დევდარიანს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. #43/ლ.კავსაძის #9, ბინა #13-ში მომმართა ივანე ბარბაქაძემ (დაბ.31.12.1983წელს, გარდაბანში პირადი 01017021602, მის: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ვლადიმერ გაბაშვილის ქუჩა, N 5, ბინა 16**) და განაცხადა, რომ არის შ.პ.ს. ,, იბეროტელი"-ს (განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20016244, 18/02/2020 11:02:30ს.კ. 404438113, რეგისტრაციის ნომერი, თარიღი 26/02/2013) დირექტორი. მან გამოხატა სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენისა და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ქეთი ქებულაძემ მომმართა. მე ასევე შევამოწმე მისი უფლებამოსილება, იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შ.პ.ს. ,, იბეროტელი". მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობის ტექსტი. ნოტარიუსმა პირადად წავუკითხე მას წინამდებარე ტექსტი და განვუმარტე ამ მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რაზეც მან მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ წინამდებარე მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერს მას ხელი რასაც ვადასტურებ.

მინდობილობა

ორიათას ოცდაოთხი წლის თოთხმეტ ივნისს ივანე ბარბაქაძემ როგორც შ.პ.ს. ,, იბეროტელი"-ს (ს.კ.404438113) დირექტორმა წინამდებარე მინდობილობით რევაზ ტყემალაძეს (დაბ.09.08.1977წელს, თბილისში, პირადი 01024004230, მის: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ადამ მიცკევიჩის ქუჩა, N 34, ბინა 20**) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

წინადებარე მინდობილობით „მინდობილი" უფლებამოსილია „მიმნდობის" სახელით შპს „იბეროტელი"-ის (ს/კ 404438113) კუთვნილი უძრავი ქონების (მდებარე ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია, ს/კ 01.20.01.109.120, 01.20.01.109.121 და 01.20.01.109.115) საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის სამსახურებში, მათ შორის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქალაქის სატრანსპორტო სამსახურში, სსიპ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის არქივში, აწარმოოს საქმეები და ნებისმიერი დაკუმენტაცია, მათ შორის მოახდინოს პროექტის შეთანხმება, პროექტის კორექტირება, მიიღოს ნებართვა, მოახდინოს ნებართვის განახლება, აგდ-ში ცვლილება, აზომვა, ახალი საკადასტროს გეგმის მომზადება, ხარვეზების შესწორება, პროექტების შეთანხმებისთვის და მშენებლობის ნებართვის მისაღებად შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, აწარმოოს მოლაპარაკებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში, ამასთან დაკავშირებით შეაგროვის ყველა სახის დოკუმენტაცია (ცნობები, გადაწყვეტილებები, პროექტები, შეთანხმებები, ნებართვები), მიიღოს და წარადგინოს ისინი, კომპანიის სახელით შეიტანოს განცხადებები, მიიღოს ინფორმაცია, მიიღოს გადაწყვეტილებები, ხელი მოაწეროს დოკუმენტებს, შეასრულოს ყველა აუცილებელი მოქმედება და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, რაც ამ დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა ძალაშია 2025 წლის 14 (თოთხმეტი) ივნისის ჩათვლით.

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ნოტარიუსის, თინათინ დევდარიანის, სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა ,,მიმნდობს".

დანართი: შ.პ.ს. ,, იბეროტელი"-ს ამონაწერი (განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20016244, 18/02/2020 11:02:30ს.კ. 404438113, რეგისტრაციის ნომერი, თარიღი 26/02/2013)

ვეთანხმები ივანე ბარბაქაძე

გადახდილია საზღაური *30,00 (ოცდაათი)* ლარი, 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლით, 5 ლარი სანოტარო რეგისტრაციის საფასური' ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის მოთხოვნით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად დ.ღ.გ. 5,40, სულ 40,40 (ორმოცი ლარი და 40 თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი თინათინ დევდარიანი